№ 9 — 1877—1900 — № 9

ხუთშაბათი 13 იანვარი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ანასტასია ზიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა, ელენე და აკაკი წერეთელი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელ მეუღლისას და მეორენი ძვირფასის მამისას

**გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისას.**

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე, დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ, არტილერიის ქუჩაზე, № 5, საკუთარ სახლში. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

„კვალის“ რედაქცია აუწყებს თავისს თანამშრომელთა და მკითხველთ გარდაცვალებას

**გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისას.**

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ-დღე, დილის 12 საათზე და საღამოს 7 ს. „კვალის“ რედაქციაში (არტილერიის ქ., № 5).

10 იანვარს, საღამოს 6 საათზედ, ქ. ქუთაისში გარდაიცვალა აფხაზეთის უკანასკნელ მთავრის შვილი

**უგანათ. თავ. მიხეილ მიხეილის ძე შერვაშიძე,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმა უგანათლ. თავ. გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძე მეუღლითა და დებითურთ. პანაშვიდები გადახდილი იქმნება ყოველ დღე: ნაშუადღევის 1 საათსა და საღამოს 8 საათზედ. მიცვალებულის დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

(2—251—2)

**ქართული თეატრი**

ხუთშაბათს, 13 იანვარს, 1900 წ.

ბენეფისი

**კ. ს. მესხისა**

მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი რენელი

წარმოდგენილი იქნება:

**ცოლის მორჯულება**

პიესა 5 მოქმედებად ვ. შექსპირისა, თარგ. კ. ს. მესხის მიერ.

II

**ყვავები**

ვოდევილი ერთ-მოქმედებად. თარგ. კ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, გარელი, აფხაზიშვილი და სხ. ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ალამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ნ. ზ. უმიკოვი.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—12—1 საღოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავანიშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ, ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

**ექიმი**

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—74)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ხელმწიფე იმპერატორმა, ფინანსთა მინისტრის წარდგენილების თანახმად, კეთილ ინება და უბოძა ერთგულის სამსახურისათვის:

ოქროს მედალი „ერთგულებისათვის“ ზედ-წარწერით სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გამსესხებელ კომიტეტის წევრს კასილ ბერელაშვილს და ქ. ბათუმის სავაჭრო დეპუტატს ექვთიმე ბერძენიშვილს.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ყარსის ოლქის ჩალდარის ნაწილის უფროსი კაპიტანი თავადი ხერხეულიძე.

—

**† გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი.**

მესამოცე წლების მრავალ-მოღვაწე მწერალთა საუკეთესოგუნდს ერთი, ჩვენის ღარიბის ლიტერატურის დიდი მოჭირნახულე, წევრი კიდევ მოაკლდა. დიდის მწუხარებით ვაცნობებთ მკითხველებს, რომ გუშინ, ოთხშაბათს, 11 იანვარს, ნასადილევის 4 საათსა და 15 წუთს, ტფილისში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენის მწერლობის ერთი დედა-ბოძთაგანი, გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი.

ძნელად წარმოგვიდგენია ქართველი კაცი, მცოდნე ქართულის წერა-კითხვისა, რომ განსვენებულის გიორგი წერეთლის სახელი არ გაეგონოს, სახელი იმ კაცისა, რომელმაც ამ ოც-და-ათის წლის (1862 წ.) წინად აღიპყრა ხელთ თავისი ნიჭიერი კალამი და სიკვდილამდე თავი არ დაუნებებია მწერლობისათვის. არც ერთი ჟურნალი და გაზეთი არ დაბადებულა ქართულს ენაზედ, რომ განსვენებულს გიორგის თავისის მჭრელისა, მახვილისა და მადლიანის კალმით დახმარება და შემწეობა არ აღმოეჩინოს.

განსვენებული გიორგი დაიბადა სოფ. გორისას, შორაპნის მაზრაში, სწავლა დაამთავრა ქუთაისის გიმნაზიაში და წავიდა პეტერბურგს, სადაც იგი ბუნების-მეტყველების ფაკულტეტზედ სწავლობდა. ჯერ უნივერსიტეტიდგანვე 1862 წელს „ცისკარში“ დაჰბეჭდა რამდენიმე წერილი „ექვთიმიძის“ სახელით და მაშინვე საუკეთესო ქართველთა ყურადღება დაიმსახურა. 1863 წ. ჩამოვიდა იგი საქართველოში, რომლის შვილნი უკვე იცნობდნენ ნიჭიერს ყმაწვილს კაცს მისის წერილებით და ამიტომ, რაღა თქმა უნდა, გულ-მხურვალედ მიეგებნენ. ჩამოსვლა მისი და ქართველთა მოღვაწეთა გუნდში დატრიალება ერის საჭირისუფლოდ ერთი იყო.

ბევრი შრომა, დიდი გულის ტკივილი და მხნეობა იყო საჭირო, რომ რამდენსამე ახალგაზრდას, რომელთა შორის განსვენებულს გიორგის ერთი საუკეთესო ადგილთაგანი ეჭირა, დაეძლიათ საზოგადოების გულგრილობა და შთაეგონებინათ სიკეთე და სარგებლობა საზოგადო საქმისათვის თავის გაწირვისა და საკუთარის ბედნიერების დავიწყებისა. ამ ხანში (1866 წ. მარტის პირველს) პირველი გაზეთი „დროება“ გიორგის რედაქტორობით გამოვიდა, რომელშიაც განსვენებული სამის წლის განმავლობაში დღე-ღამ დაუსვენებლად ჰშრომობდა. 1868 წელს მან დაიწყო „სასოფლო გაზეთის“ გამოცემა და „დროება“-კი სერგეი მესხს გარდასცა. 1871 წელს მანვე გამოსცა ჟურნალი „კრებული“, რომლის დაბეჭდვაშიაც დიდს დახმარებას უწევდნენ ბ-ნნი ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი. 1871 წ. „კრებული“ ბ-ნს კ. ლორთქიფანიძეს გარდასცა, ხოლო „სასოფლო გაზეთი“ ბ-ნს პ. უმიკაშვილს, თვით განსვენებული-კი საზღვარ-გარეთ წავიდა, საიდგანაც დაბრუნებისას იგი თანამშრომლობდა „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“, „ჯეჯილში“ და სხვ. ამავე დროს განსვენებული, კარგად მცოდნე საქართველოს ისტორიისა და არხეოლოგიისა, თანამშრომლობდა ადგილობრივს გაზეთებშიაც, სამხედრო კორესპონდენციებს უწერდა პეტერბურგის გაზეთს „Голосъ“-ს და მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოების წევრად ითვლებოდა.

განსვენებულის გიორგის ნაწერების ეხლავე ერთად შეკრება რომ შეიძლებოდეს, იგი იმდენად შესანიშნავს შრომას შეადგენს, მარტო ღირსებით-კი არა, სივრცითაც, რომ ადამიანს გაუოცდება მისის კალმის მრავალ-ნაყოფიერება. რომელი დარგი ლიტერატურისა გინდათ, რომ განსვენებულს ნესტარი არ გაეტარებინოს თავისის კალმით და კვალი არ დაეჩნიოს თავისის ნიჭიერებისა.

და აგერ, ოც-და-ათის წლის მოჭირნახულე და მოღვაწე სალიტერატურო სარბიელისა გამოეთხოვა ამ წუთიერს სოფელს, სადაც წილად მარტოოდენ შრომა ჰხვდა, შრომა თავისის ერის საკეთილდღეოდ, შრომა თვისთა უმცროსთა ძმათა საბედნიეროდ; გამოეთხოვა მაშინ, როდესაც კიდევ შეეძლო მუშაობა, 58 წლისა, გამოეთხოვა იმ ქვეყანას, რომელსაც ასე ძლიერ სჭირია ერთგული, ნიჭიერი, გულ-მტკივნეული ჭირისუფალი, იმ ქვეყანას, სადაც „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი ყოვლად არა“...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო გიორგი!..

ა.

## ახალი ამბავი

—

*** გავახსენებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, 13 იანვარს, ქართულს თეატრში ქართულის დრამატიულის დასის მიერ, კ. ს. მესხის საბენეფისოდ, წარმოდგენა იქმნება გამართული. წარმოადგენენ უ. შექსპირის 5 მოქმედებიან პიესას „ცოლის მორჯულებას“ და ერთ-მოქმედებიან ვოდევილს „ყვავები“. წარმოდგენაში მთელი დასი იღებს მონაწილეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** მთავარ-მართებლის კანცელარიის ტეხნიკოსი ინჟ. ნოვომეისკი ქუთაისის გუბერნიაში გაუგზავნიათ სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. სხვათა შორის ბ-ნ ნოვომეისკის მიენდო განიხილოს ქალაქ ფოთისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის დავა ფოთის სადგურთან ადგილის შესახებ. ამავე საქმის განსახილველად ფოთში ჩავიდა სახელმწიფო გზათა ინსპექტორი ინჟ. გორჩაკოვი.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ა. სულთან-კრიმგირეი, როგორც „ტფ. ფურც.“ იუწყება, პეტერბურგში მიდის სამსახურის საქმეებისა გამო.

*** მთავრობამ ამას წინად გადასწყვიტა, დააარსოს რუსეთის იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილებში რამდენიმე სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელი. სხვათა შორის ერთი ასეთი სასწავლებელი დაარსებულ იქმნება კავკასიაშიაც. სწავლის ვადა სასწავლებელში ხუთი წელიწადი იქმნება. ასწავლიან შემდეგ საგნებს: სალმრთო სჯულს, რუსულს ენას, ისტორიას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ალგებრას, გეოგრაფიას, ბუნების-მეტყველებას და სხვას. ამ საგნების სწავლება სავალდებულო არ იქმნება. სავალდებულო იქმნება მოსწავლეთათვის ის საგნები, რომელნიც სამხატვრო ნაწილს შეეხება.

*** ორის წლის წინად ტფილისის გუბერნიის პირველ დაწყებით სკოლების რამდენმამე მასწავლებელმა განიზრახა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელის საზოგადოების დაარსება, მაგრამ ეს განზრახვა მაშინ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ვერ მოიყვანეს სისრულეში. ამ ჟამად, მასწავლებელთა წრეს კვლავ ხელი მოუკიდნია ამ საქმისათვის და წარუდგენია წესდების პროექტი სახალხო სასწავლებელთა დირექტორისათვის.

*** ამ დღეებში ფინანსთა სამინისტრო და კავკასიის მთავარ-მართებელი შეთანხმებულან იმის შესახებ, რომ საკომლო და საერობო გარდასახადის მაგიერ შემოღებულ იქმნას კავკასიაში მიწის გარდასახადი, მზგავსად იმ წესისა, რომელიც ეხლა ციმბირში არსებობს. ეს პროექტი წარედგინება სახელმწიფო საბჭოს ამ თვის ბოლოს.

*** ამიერ-კავკასიაში საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად ხაზინიდგან 1900 წლისათვის გადადებულ იქმნა 225,000 მანეთი.

*** 11 იანვარს ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს მესამე კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს დადგენილების განსახილველად ცხენის რკინის გზის გაცემის შესახებ. პირველ ორ კრებაზედ საკრებულომ 23 პარაგრაფი განიხილა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც ქალაქსა და უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს შორის იქმნა დადებული. 11 იანვარის კრება დანარჩენ პარაგრაფების განხილვას მოანდომა საკრებულომ.

*** მიწად მოქმედების სამინისტ, რომ საჭიროდ სცნო გამოარკვიოს ადგილობრივ საერობო თანხებიდგან რა ფული შეიძლება გადადებულ იქმნას ოძისში ერისთავის მიერ შეწირულ ადგილზედ სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად და რა ხარჯი უნდა გასწიოს ხაზინამ ამავე საქმისთვის. როგორც გამოანგარიშებულია, სკოლის შენობის აგებასა და საჭირო ნივთების შეძენას 61,775 მანეთი დასჭირდება. სამინისტრო უკვე შესდგომია კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან ამის შესახებ მოლაპარაკებას.

*** როგორც ვუწყით, ქალაქის გამგეობამ ნავთლუღში გამართა საქონლის ბაკი. ეხლა, როგორც „კავ.“-ი იუწყება, გამგეობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ ნავთლუღშივე გამართულ იქმნას ცხენების სავაჭრო ადგილიც.

*** ქუთაისიდგან სწერენ „კავ.“-ს, რომ ქუთაისის ეპისკოპოსის, ყოვლად-სამღვდელო ბესარიონის განკარგულებით ახალწლის პირველ დღეს ქუთაისის ყველა ეკკლესიაში წირვის შემდეგ ფული იქმნა შეკრებილი ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. ეს ფული დანიშნულებისამებრ გაუგზავნიათ.

*** როგორც გაზ. „კავ.“-ს სწერენ სოხუმიდგან, 27 დეკემბერს იქ ქალაქის შუა ადგილას ცეცხლი გაჩენილა. ცეცხლს სრულიად გადაუბუგავს ოთხი მაღაზია. ცეცხლი პირველად ივ. ცეცხლაძის მაღაზიას გასჩენია, იქიდგან სხვა მაღაზიებზედაც გადასულა. იმის წყალობით, რომ ქალაქს ცეცხლის საქრობი რაზმი არა ჰყავს, ცეცხლის წინააღმდეგ ვერაფერი გაუწყვიათ. საბჭოს კარგა ხანია გადაუდვია ფული ცეცხლის საქრობ მანქანების შესაძენად, მაგრამ გამგეობას დღემდე არ შეუძენია თურმე ეს მანქანები. ოთხ გადამწვარ მაღაზიაში მხოლოდ ერთი არა ყოფილა დაზღვეული. ზარალი 30,000 მანეთამდე არის თურმე.

*** როგორც გაზ. „Сынъ От.“ იუწყება, პეტერბურგიდგან 18 კაცი წამოსულა ახალ-ქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. მათ შორის რამდენიმე მკურნალია, სტუდენტი სამკურნალო ფაკულტეტისა და და მოწყალებისა.

*** როგორც „ცნ. ფურც“ ი იუწყება, გეტეს თხზულება „ვერტერი“ ერთ ყმაწვილ კაცს ქართულად გადმოუთარგმნია. „ვერტერი“ ამ წლის „მოამბეში“ დაიბეჭდება.

*** ქალაქის გამგეობა ქალაქ ტფილისის ახალის გეგმის შედგენას შესდგომია. ეს ახალი გეგმა გამოიწვია იმან, რომ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს სახელები გამოეცვალა.

*** 10 იანვარს ქალაქის გამგეობაში კრება ჰქონია საბჭოს განსაკუთრებულ კომისიას გენერალ-მაიორის ბუჭყიაშვილის განცხადების განსახილველად იმის შესახებ, რომ ქალაქმა ბუჭყიაშვილის სახლი შეიძინოს იქ ქალაქის მთავარ სამკურნალოს მოსათავსებლად. კომისიამ კრებაზედ გადასწყვიტა, გვირას დაათვალიეროს ბუჭყიაშვილის სახლი და გაიგოს გამოდგება თუ არა იგი სამკურნალოსათვის.

---

## კახეთის მევენახეთა კრება.

(შემდეგი *)

პირველი კრება მესამე სექციისა დაიწყო თავ. ლ. გ. ჯანდიერის თავმჯდომარეობით. კრებას 70 სული დაესწრო წევრნი და თან და თან ემატებოდნენ.

**თავმჯდომარე.** ჩვენ დავუახლოვდით ყველაზედ საჭირ-ბოროტო საგნებს, სახელდობრ, საეკონომიო და საფინანსო საკითხებს. უნდა ვეცადნეთ, რაც შეიძლება, მოკლედ ვილაპარაკოთ. ღვინის გასყიდვა-გასაღებისაგან დავიწყოთ.

მოხსენებას კითხულობენ ბ-ნნი ტიმოფეევი და დემენტიევი, მერე თავ. ს. რ. ვახვახიშვილი. მოხსენებაში ნათქვამია, რომ აწინდელი ცნობებით დაჭეშმარიტებით თქმა თუ რამდენი ღვინო მოდის საკუთრად კახეთში, ან საზოგადოდ საქართველოში, შეუძლებელია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მილიონ ნახევარზედ ნაკლები არ მოდისო. მერე ნაჩვენებია, სად რამდენი ღვინო იხარჯება, რამდენი ღვინო შემოდის რუსეთში საზღვარ გარეთიდამ. ამ ცნობებიდგანა ცხადადა სჩანს, რომ რაც ღვინო მოდის რუსეთში და რაც საზღვარ გარეთიდამ შემოდის, რუსეთს არა ჰყოფნის; რუსეთი მეტსა ჰხმარობს. ღვინის დაფოლების მიზეზებად ნაჩვენებია: 1) ფულის დაძვირება, 2) საზღვარ-გარეთის ღვინის მეტოქეობა, 3) ვენახების გაბევრება და გავრცელება, 4) ფარული მეტოქეობა ფალსიფიკაციაზედ დამყარებული, 5) მოვაჭრეთაგან პირის შეკვრა ღვინის დასაფოლებლად.

სხვათა შორის თავ. ს. რ. ვახვახიშვილის მოხსენებაში ნათქვამია: ჩვენი ღვინისათვის საზღვარ-გარეთის ღვინის მეტოქეობა საშიში არ არის, ანუ უკეთ ვთქვათ, ეს მეტოქეობა თვით საქართველოში სუ არ არსებობსო. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა კონკურენცია იმ ღვინისა, რომელიც მოდის ერევნისა, განჯისა და კავკასიის სხვა გუბერნიებში. ზოგნი ღვინის დაფოლებას ჰხსნიან სირაჯთა პირის შეკვრით, უგზოობითა და სხვით, მე თანახმა ვარ იმათი, მაგრამ ისიც სათქმელია, ღვინო რომ მოთხოვნილებაზედ ნაკლები მოდიოდეს, პირის შეკვრასა და უგზოობას ადგილი აღარ ექმნებოდაო. ნებაუნებურად სირაჯები ერთმანეთს შეეცილებოდნენ და ღვინის ფასს ასწევდნენ; როგორც ეს იყო მაშინ, როცა წამლობა არ იცოდნენ და ღვინო ცოტა მოდიოდა. ცხადია, ღვინო მოთხოვნილებაზედ მეტი მო-

*) იხ. „ივერია“ № 8.

---

# ფელეტონი

## ცოდნა

ნათარგმნი

(აღმოსავლეთური ლეგენდა)

ინდოეთის ჩრდილოეთ ქვეყანაში ერთხელ სცხოვრობდა სახელ-განთქმული ბრამინი, რომელიც სრულიად აღვსებულ იყო ვედის საღვთო წერილების წიგნთა ცოდნა-მეცნიერებით.

სულ ყოველივე, რაც-კი ჰსუფევდა ვედის დიდსა და მდიდარს წიგნებში, ზედ-მიწევნით შეესწავლა და, რაკი მეტი ველარსად ველარ გამოენახა სხვა რამ გაუგებარი და გამოუცნობელი, გულ-დამშვიდებით წარმოსთქვა:

„სიბრძნით მთელს დედა-მიწაზედ აღარავინ ტოლი აღარა მყავსო!“

გაიგონა თვით ყოვლად შემძლებელმა ვიშნუმ ეს მეტად ამაყი და წინ დაუხედველი კაცის ხმა.

მშვიდსა და სიამით-სავსე ძილში ღამის წყნარს მყუდროების დროს მოჩვენებასავით გამოეცხადა დიადი ვიშნუ მძინარე ბრამინს და უბრძანა:

— გასწი დასავლეთისკენ, იქ ნახავ უდიდესს სწავლულს, ათასჯერ უფრო შენზედ ბრძენთა ბრძენსო.

ახლად გამოღვიძებულს ბრამინს დიდი სასოწარკვეთილება აღებეჭდა სახეზედ...

რამდენი წელიწადი იშრომა მან თვისის თვით-განვითარებისა, გამეცნიერებისა და განსპეტაკებისათვის, რაოდენი ძალ-ღონე და ტან-მთელობა შეალია ამ დიდ საქმეს და სულ უკანასკნელ ჟამს, ღრმა მოხუცების დროს, მაღალის ღმერთის ვიშნუს განგებით, არის კიდევ ერთი უჩინებულესი დიდი სწავლული იქ, სადღაც შორეულს დასავლეთისკენაო!..

ამიერიდგან საკუთარ იდეალის მრწამსი სრულიად დაირღვა და დაეშალა და შეურყეველი შეიქნა მისთვის მაღლიდგან შთანერგილი რწმენა, რომ მისი დიდება, ვითარცა ინდოეთის პირველისა და უშესანიშნავესის მეცნიერისა, საუკუნოდ აღიგავა პირისაგან ქვეყნისა.

იგი დაემორჩილა ვიშნუს ბრძანებას და იმავე დღეს გასწია დასავლეთისკენ, რომ სადმე გამოენახა უცნობი დიდი სწავლული და უძლიერესი მეცნიერი.

შორი და ძნელი იყო მგზავრობა ინდოეთის სწავლულისა მრავალ-გვარ თვალ-უწვდენელ უდაბნო და უდაბურ ქვეყნებში, სადაც ადამიანის ჭაჭანებაც არა სჩანდა.

ვინ მოსთვლის რაოდენი წელიწადი მოანდომა მან მგზავრობას, ბოლოს, როგორც იყო, მიადგა დასავლეთის ერთს დიდს ზღვას.

ერთს მშვენიერ, უკვდავების მომგვრელ ანკარა წყაროს ახლოს, უშველებელ კაკლის ხის საოცნებოდ ჩამოშვებულს ტოტებს ქვეშ, რომელიც ზღვის ნაპირას იდგა, შეხიზნულიყო ის დიდი სწავლული, რომელსაც იგი ეძებდა!

აფრიკის ცხელი მზე შეუბრალებლად სწვავდა და აქათქათებდა იქაურს არე-მარეს და მეცნიერი-კი შეჰფარებოდა იმ მშვენიერის კაკლის ხის ჩრდილს ქვეშ დადგმულ ქოხს, დამჯდარიყო და ისე კითხულობდა თავისს მუხლებზედ გარდაშლილს უშველებელს ვრცელს წიგნს, რომელიც სრულიად უცნობის და გაურკვეველი ასოებითა იყო დაწერილი.

რაღაც საიდუმლოებით მოცული იეროგლითებით სავსე ეს წიგნი დაუსრულებელ და უსაზღვრო რაღმე სჩანდა.

თეთრი, თოვლის ფრად შემკული მერცხალი, განუშორებელი მეგობარი მეცნიერის მყუდრო ცხოვრებისა, მაღლა ჰაერში ლამაზად დასტრიალებდა თვალის წარმტაც ამღელვარებულ ზღვის მოთამაშე ზვირთებს იქვე სწავლულის შორე-ახლოს.

მრავალგვარი, მდიდარი და მომხიბვლელი ტროპიკული მცენარე, ირგვლივ ყველგან მოფენილი ურიცხვი ხილნარი და ნაყოფიერებანი დიდ საშუალებას აძლევდა კაცს, რომ უშრომლად და უზრუნველად ეცხოვრა.

ბრამინი, გამოუთქმელ, ხანგრძლივ და საშიშარ მგზავრობით დიდად დაღლილი, გახარებული იყო, რომ იმის ტანჯვას ბოლო მოეღო და დაბლა თავის დახრით მოიკითხა იმ კარ-მიდამოს პატრონი.

„მშვიდობა შენდა, მეცნიერთა მეცნიერო, ბრძენი აღმოსავლეთი მოკითხვას მოგახსენებს“!

— დაჯექ და დაისვენე, — უთხრა მსწავლულმა მოსულს, თვით-კი ისევ თავისის გასაოცარი წიგნის თვალიერება განაგრძო.

ბრამინმა, რაკი საკმაოდ შეისვენა და მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა, აუხსნა მეცნიერს თვისის მგზავრობის მიზეზი:

„ინდოეთიდგან მოვსულვარ აქ, დიადის ვიშნუს ბრძანებით, რომ შენგან ვისწავლო და ცოდნა შევიძინო“.

„მითხარ, რა წიგნი გაქვს და რაოდენი დროა საჭირო, რომ შევისწავლო იგი“.

— ეს წიგნი არის წიგნი მსოფლიო კანონთა, — მიუგო მსწავლულმა. და გულით მოწადინებული ვარ და მზადაც შენთან ერთად მეც შევისწავლო იგი.

მაგრამ რამდენი დრო დასჭირდება ამ წიგნის შესწავლას, რომელსაც მე შევდგომილვარ აგერ იქნება ოთხი ათასი წელიწადი, ამ საკითხის პასუხს ამ საათში მაგალითით დაგანახვებ.

სთქვა თუ არა ეს, დასავლეთის სწავლული ისევ ჩაუღრმავდა თავისის საკვირველ წიგნის იეროგლითების სინჯვას, ჰხატავდა რაღაც სახე-ნიშნებს სილაზედ და წყნარის ჩურჩულით რაღაცას გაუგებარს ამბობდა.

ამ დროს თეთრი, თოვლის ფრად შემკული მერცხალი მიფრინდა ზღვის პირას, ნისკარტით ზღვის წყალი ამოიღო, დაადგა მაღლა პირდაპირ წყნარად გაჩერებულს, პასუხის მომლოდინე ბრამინს და ნისკარტიდგან მის თავზე ნელა დაუშვა ერთი წვეთი წყალი.

მერცხალი ისევ ხელმეორედ გაფრინდა ზღვის ნაპირად, ამოიღო წყალი ნისკარტით და, გაჩერდა თუ არა მაღლა ბრამინის პირდაპირ, ნისკარტიდგან კვლავ დაუშვა მის თავზედ ერთი წვეთი წყალი.

ასე განმეორდა მრავალჯერ და ამდენ ხანს ლოდინით ილაჯ გაწყვეტილმა ბრამინმა ბოლოს წამოიძახა:

— მეცნიერთა მეცნიერო მოძღვარო! შეაჩერე ეგ შენი შვენიერი მერცხალი და პასუხი მაღირსე.

— დიდი ხანია უკვე მიიღე პასუხი, ჩემო მეგობარო, — მიუგო სწავლულმა.

— ეს მერცხალი ჩემის ბრძანებით გიხსნის შენ, რომ ამ სოფლის კანონთა დიდად ძნელ წიგნის შესწავლას და საბოლოოდ ცოდნის დასრულებას სწორედ იმდენი ხანი უნდა და ისევე ძნელია, როგორც სტრაფისა და სუბუქის მერცხლისთვის წვეთ-წვეთობით ამ უშველებელის ზღვის დაშრობა.

ხომლელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვყავს, მაგრამ ეს მეტის მოყვანა უნდა აიხსნას იმითი-კი არა, რომ ჩვენ, კახელებს, მეტი ღვინო მოგვყავდეს, ვიდრე იგი საჭიროა თუნდა მარტო საქართველოს მხმარებელთათვის. არა. ჩვენ ღვინოს ჭქიშპობენ სხვა ადგილებში ღვინის მომყვანნი.

მართალია, კახური ღვინო განთქმულია ადგილობრივს ბაზარში, მაგრამ ისიც მართალია, რომ ყველა სირაჯს შეუძლიან განჯა-ერევნის ღვინოს ცოტა რამ აურიოს კახური და საკუთარის კახურის ღვინის სახელით ჰყიდოს. ცოტ ცოტა კახურ ღვინოს შეჩვეულს ნარევ ღვინის ხმით გემოვნება წაუხდება და შეიძლება კახურის ღვინის დიდებაც დაიკარგოს. მხმარებლის გემოვნება რომ შეცვლის გზას ადგია, ეს იქიდგან სჩანს, რომ ადგილობრივს უმთავრესს ბაზარზედ—ტფილისში—გაჩნდნენ იმისთანა ფირმები, რომლებიც ჰყიდიან მარტო ევროპიულად მომზადებულს ღვინოს. ამ ნაირად თუმცა სხვა ადგილების ღვინო მეტოქეობას უწევს კახურს, მაგრამ ეს მეტოქეობა მაინც და მაინც დამალული არის, რადგანაც საღდება კახურის სახელით. ამიტომაც ამას მეტოქეობა არც კი შეიძლება დავუძახოთ; ეს არის სიყალბე—ფალსიფიკაცია. თუნდა დაუმალავადაც გაუწიოს მეტოქეობა სხვა ადგილების ღვინომ კახურს, მაინც გამარჯვება, არა მგონია, კახურს დარჩეს, რადგანაც სხვა ადგილებში მევენახეთ შეუძლიანთ იაფად გაჰყიდონ ღვინო კახელებზედ. აი, თუნდა ერევნისა და განჯის გუბერნიები ავიღოთ. იქ იმდენად მეტი მოდის ერთს დღიურზედ ღვინო და იმდენად ნაკლები შემუშავება უნდა ვენახს კახურ ვენახთან შედარებით, რომ რაც უნდა დაბალ ფასად გაჰყიდონ, მაინც კარგი შემოსავალი ექმნებათ ვენახიდგან. ჩვენის ღვინის აწინდელი ფასი-კი იმისთანაა, რომ ვენახი თითქმის ძლივს აბრუნებს ზედ დანახარჯსა.

ცხადია, როგორ უნდა დავქსელოთ გზა: უნდა განვაახლოთ ჩვენი ვენახები, ვაზიც წკრეზედ დავაყენოთ, რომ ერთმა და იმავე მამულმა მცირე შრომის ნაყოფად ბევრად დიდი მოსავალი მოგვცეს, ვიდრე ეხლა იძლევა. ისიც საკითხია, ვენახები რომ გავაუკეთესოთ, ხომ უფრო მეტად არ დაფოლდება ჩვენი ღვინო? ამისი შიში არ უნდა გვქონდეს, პირველად იმიტომ, რომ დღესაც ღვინის ფასი დაახლოვებულია იმ ფასთან, ღვინიდგან რამდენისაც სპირტი გამოიხდება, მეორედ მიტომ, რომ თუნდა კიდეც დაიწიოს ღვინის ფასმა, მაინც დიდ მოსავლიანი ვენახი კარგს შემოსავალს მისცემს პატრონს. როგორიც უნდა იყოს მოსავალი, ადგილობრივ ბაზრის ანაბარად არ უნდა დავრჩეთ; აუცილებლად უნდა მოვძებნოთ სხვა ბაზარი. ამისთანა ბაზრად ჩვენ შეგვიძლიან გავიხადოთ რუსეთის იმპერია.

რა თქმა უნდა, რკინის გზის გაყვანის შემდეგ კახეთს რუსეთის ვაჭრები ეწვევიან, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ არც ისინი მისცემენ სირაჯებზედ მეტ ფასს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყირიმსა და ბესარაბიაში ისეთივე ფასებია ღვინოზედ, როგორც აქ. ამიტომ არავითარი საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ რუსეთის ვაჭრები ჩვენ, კახელებს მეტს მოგვცემენ, ვიდრე ყირიმელ მევენახეებს აძლევენ. უფრო ნაკლებსაც უნდა მოველოდეთ. ასეა, თუ ისე, მაინც რუსეთის ბაზარი ჩვენ, კახელებისათვის, ძალიან სასარგებლო იქმნება, ხოლო იმ აუცილებელის პირობით კი, რომ ჩვენ გავიტანოთ ჩვენი ღვინო ბაზარში და არა სირაჯებს გავატანოთ. მართალია, ღვინო დაფოლებულია, მაგრამ წვრილ წვრილად გაყიდვის დროს მაინც კარგი ფასი აქვს. იმიტომაც ადგილობრივ ღვინის დაფოლების უმთავრესს მიზეზად ის კი არ უნდა ჩაითვალოს, რომ სირაჯებს პირი აქვთ შეკრული, არამედ ის, რომ აკეთებენ წყლისა, შაქრისა და სპირტიდგან ღვინოს მინაგვარ სასმელს და ღვინის სახელით ჰყიდიან. ამისთანა ღვინით მოვაჭრენი ჩვენ ღვინოში იმაზედ მეტს ფასს თავისს დღეში არ მისცემენ, რაც თითონ უჯდებათ სპირტი და შაქარი. თუ ისინი სპირტიდგან და შაქრიდგან გაკეთებულ ერთ ვედრო ღვინოს 1 მ. 40 კ. ისვამენ, ჩვენც ამაზედ მეტს არ შემოგვაძლევენ.

უნდა მივემხროთ იმ მევენახეებს, რომელნიც შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ უმეტესი ზედამხედველობა ჰქონდეს ღვინით ვაჭრობას და მეტის ბეჯითობით იყოს დევნული სიყალბე ღვინისა, თუმცა მე თითონ უიმედოდ ვარ, რომ ადრე და მალე დაწყნდეს საშუალებანი სიყალბის ჯეროვანად ალაგმვის. ცხადია, რომ ვიდრე ყალბი ღვინო თამამად გამოაქვთ ბაზარში, ფასი ღვინისა უფრო დაიწევს. აი რატომ ვამბობ, რომ სხვა გზა არა გვაქვს მეფქი, იმის მეტი, რომ შევადგინოთ ამხანაგობანი და ჩვენი ღვინო ჩვენვე გავიტანოთ რუსეთის ბაზარზედ. ჩემის აზრით, ეს არის ჩვენი მხრივ ერთად-ერთი საშუალება სიყალბის ასალაგმავიც და დოლალების რიცხვის შესამცირებელიც.

საზოგადოდ ვაჭრობაში საჭიროა დაიმსახუროს ნდობა საზოგადოებისა და მომხმარებლისა.

იმ ამხანაგობათ, რომელნიც მარტოდ-მარტო თავისს ღვინოს გაჰყიდიან, იმისთანა უპირატესობა ექმნებათ, რომელსაც ვერც ერთი ფირმა ვერ შესწვდება.

ზოგნი იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენ ვითომ შევაჩვევთ მხმარებელს ჩვენ ღვინოსაო, მაგრამ მე იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენ უნდა შევუფეროთ ღვინო მხმარებლის გემოვნებას, მით უმეტესად, რომ როგორც გამოცდილებამ დაგვარწმუნა, ჩვენი ღვინო, დაყენებული ევროპიულად, თუ უკეთესი არა, ნაკლები არ არის, ნამეტნავად წითელი. ამისათვის საჭიროა მარტო ფული და ფულსაც ვიშოვნით, რადგანაც მთავრობა უსათუოდ მოგვცემს სესხს, ოღონდ შევიძლოთ ეს სესხი უზრუნველ-ვყოთ.

თავ. ვახვახიშვილის შემდეგ თავ. ი. გ. ჯორჯაძემ სთხოვა კრებას, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ: 1) რკინის გზაზედ ვაგონებს ათბობდნენ ღვინის გადასატანად; 2) შემოღებულ იყოს სავალდებულო საწყაო; 3) ყოველი ღვინო ისყიდებოდეს იმ ადგილის სახელით, საიდგანაც არის; 4) ყალბი ღვინო ისყიდებოდეს სახელით „ღვინუკა“ (ВИНЦО); 5) დაევალოთ ღვინით მოვაჭრეთ, რომ იქონიონ მოწმობა საიდგან რამდენი ღვინო მოაქვთ; 6) აეკრძალოთ „კახური ღვინო“ სახელის ხმარება ყველას, ვისაც არ ექმნება დადგენილი რაოდენობა კახურის ღვინისა; 7) გარდასახადთა ინსპექტორებს დაევალოთ შეკრება ცნობებისა; 8) გაზეთებში იბეჭდებოდეს ნამდვილი ფასები ყველა ადგილის ღვინისა.

თავმჯდომარე კითხულობს განსახილველ საგნებს, რომლებიც სექციის წევრთ კერძო კრებაზედ აღუნიშნავთ.

თავ. ს. რ. ვახვახიშვილი. ჩამოთვლილ კითხვებში ყველა არ არის მოხსენებული, როგორც, მაგალითად კახურის ღვინის ტიპის შესახებ.

ბ-ნი დემენტიევი—ურჩევს კრებას ჩამოთვლილი საგნები ორ ჯგუფად გაიყოს: 1) საჭიროა თუ არა ჩვენთვის ახალი ბაზარი? 2) ამხანაგობათა შედგენა ერთად-ერთი საშუალებაა ღვინის გასასაღებლად თუ არა?

თავ. შალიკოვი. მე წინადაც გამიგონია და ეხლაც მესმის, ვითომ ძალიან საჭირო იყოს ჩვენთვის ახალი ბაზარი, მაგრამ ეს ასე არ არის. სრულიად საკმარისია ჩვენის ღვინის ბაზრად საქართველო. დიდი ხანი არ არის, რაც ტფილისი ერთად-ერთი ბაზარი იყო ჩვენის ღვინისა, ახლა კი დავკარგეთ, უნდა ვეძიოთ მიზეზები ამ დანაკარგისა. თუ არა და განა არ შეიძლება ახალი ბაზარი გავიჩინოთ და ისევ დავკარგოთ. უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს უგზოობა. ჩვენთვის განჯური და სხვა ღვინო საშიში არ არის, თუ ერთნაირ გარემოებაში ვიქმნებით ჩაყენებულნი იმ ადგილებთან შედარებით, სადაც ღვინო მოდის.

ბ-ნი დემენტიევი. მე მგონია ახალის ბაზრის ძებნა არ დაგვიშლის ძველი ბაზრის შენარჩუნებას. დაჯერებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ იქა სჯობია ჩვენის ღვინის გასყიდვა, სადაც მეტს მოგვცემენ და, რა თქმა უნდა, რუსეთში უფრო მეტს მოგვცემენ.

ბ-ნი ამირხლოვი. თავ. შალიკოვმა ისეთი რჩევა მოგვცა, რომელიც გვაძინებს. ყველა იმასა სცდილობს, გაიდიდოს ბაზარი, წინ გადადგას ფეხი და ჩვენ-კი გვირჩევენ,—ერთს ადგილს დავგუბდეთ, ნურც აქეთ წავალთ, ნურც იქითო. ტფილისის გუბერნია 2 მილიონ ვედრო ღვინოს იძლევაო, ქუთაისისა—მილიონ ნახევარს, განჯისა—ერთს მილიონსაო, და განა შესაძლებელია 5 მილიონი ვედრა გასაღდეს აქავე. საქართველოში?

თავ. ი. გ. ჯორჯაძე. თან-და-თან ვენახებიც ვრცელდება, მოსავალიც, იმედია, იმატებს და განა ამისთანა გარემოებაში მყოფს შეუძლიან-ღა სიტყვა დასძრას ბაზრის გაფართოვების წინაღმდეგ?

თავ. დ. ს. მაყაშვილი. ახალი ბაზარი აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ამასთან დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ძნელად მოვახერხებთ ჩვენვე გავიტანოთ ჩვენი ღვინო ბაზარში. ამისთანა მდგომარეობაში რაკი ვართ, არ შეიძლება ვთხოვოთ მთავრობას, რომ, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში ნაკისრი აქვს არყის ვაჭრობა, ისე ჩვენის ღვინის გასაღებაც მანვე იკისროს?

ბ-ნი რცხილაძე. ახალის ბაზრის შესახებ უნდა ითქვას, რომ კახურ ღვინოს რუსეთის თითქმის ყველა ადგილებიდგან თხოულობენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველა მოთხოვნილება კახურის ღვინით არ კმაყოფილდება. ეს გარემოებაა ყველაზედ თვალსაჩინო და ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

თავმჯდომარე. საჭიროა თუ არა ერთსა და იმავე დროს ვეცადნეთ ძველ ბაზარზედაც ფეხი მოვიმაგროთ და ახალი ბაზარიც შევიძინოთ?

კრება ერთ-ხმად აღიარებს საჭიროებას. შემდეგ კრება შეუდგა იმის განხილვას, რომ გამოიცვალოს თუ არა კახური ღვინის ტიპი?

(შემდეგი იქნება)

## სამრევლო სკოლები და ბ-ნი მ. ფარცხნანელი

(წერილი ზესტაფონიდგან)

(დასასრული *)

სამინისტრო სკოლების მეთაურნი ჯერ ეძებენ მიწას და სახლს, მერმე ავეჯსა და სხვა მოწყობილობას, შემდეგ მასწავლებლის ჯამაგირს, და თუმცა აქაც ძლიერ მცირეა ეს ჯამაგირი (ამას თვით მთავრობაც არ უარჰყოფს), მაგრამ იმდენი მაინც არის, რომ მასწავლებელი შიმშილით და სიცივით არ მოკვდეს. სწორედ ამით აიხსნება, რომ სამინისტრო სკოლებს, უმეტეს ნაწილად, უკეთესად მომზადებული მასწავლებლები ჰყავს, ვიდრე სამრევლო სკოლებს. უწმიდესი სინოდი ყოველ წლიწადს აძლევს სამრევლო სკოლების მასწავლებლებს ერთ დროებითი შემწეობას. ეს ფულები ხშირად, სამაზრო საბჭოს გადაწყვეტილებით, იმათ მიაქვთ, ვინც სამრევლო სკოლებში თვეში თითოჯერ შედიან. „ჩემს ეკკლესიასთან სკოლა მაქვს, „პოსობიე“ მომეცითო“. გაიხედავ და ასწავლის 5 ბავშვს თვეში ერთ-ორჯერ სადმე თავისის სადგომის ერთს ოთახში. ჩვენის აზრით, ვიდრე საშუალება არ არის, საჭიროა სამრევლო სკოლების არა თუ გამრავლება, არამედ შემცირება. მაშინ ამ ფულებიდგან ჭეშმარიტ მასწავლებლებს იმდენი მაინც შეჰხვდებათ, რამდენსაც სამინისტრო სკოლების მასწავლებლები იღებენ, და თან-და-თან სკოლების მესვეურნი გახდებიან, ცოტად თუ ბევრად, საქმის მცოდნენი, რაკი სიმშილის შიში აღარ ექნებათ. ამიტომ არის, რომ სამრევლო სკოლის დაარსება ძლიერ ადვილი საქმეა, სამინისტროსი-კი ძნელი; ამიტომაა, რომ სამრევლო სკოლა სასიკვდილოდ პირს ჰლაპავს, სულსა ჰლევს, სამინისტრო-კი უფრო ხშირად, ერთხელ თუ ფეხი მოიკიდა, დღე-და-დღე იზრდება, წარმატებაში შედის. ამითვე აიხსნება, რომ პირველს მოსწავლეები თითონ ჰყავს საძებრად, მეორეს პირ-იქით ისინი დაეძებენ. ბოლოს უნდა ვთქვათ, რომ შორაპნის მაზრაში ჩვენ გვეგულება 8—10 სამრევლო სკოლა, სადაც სწავლის საქმე მართლა რომ კარგად არის წარმართული და მასწავლებლებიც სანაქებონი არიან, მაგრამ ესენი ანგარიშში არ შეგვაქვს, რადგანაც ეს 8—10 სკოლა მთელის მეხუთედს შეადგენს. ჩვენი წერილი შეეხება დანარჩენ ოთხ-მეხუთედს. ცოდვა და ბრალია, რომ ამ მართლა საქმის მცოდნე კაცებს გადაჭრილი ჯამაგირი არ აქვთ! ამბობენ, იანვრიდგან სამრევლო სკოლების მასწავლებელთ მთავრობისაგან დაენიშნებათ ჯამაგირებიო, მაგრამ სწორედ ეს საუკეთესო მასწავლებელნი უნდა დარჩნენ უჯამაგიროდ, რადგანაც იმათ სკოლებიდგან აქვთ შემოსავალიო. ჩვენის აზრით-კი

„სჯობს ყიდვა ძვირად კარგისა,
„ზედ დათავება სართისა“.

ვ. სეფისპირელი

*) იხ. „ივერია“ № 8.

# რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე შეუდგა 1895 წელს გამოცემულ სასოფლო ბანკების ნორმალურ წესდების გადასინჯვას. განზრახვა აქვთ შეავსონ ახალი წესდება იმითი, რომ სასოფლო ბანკებს ნება ჰქონდეს ხანგრძლივ-ვადიანი სესხი გასცეს, სხვადა-სხვა გვარი გირაო აიღოს და სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების სყიდვა-გასყიდვის საქმეში შუამდგომლობა იკისროს. ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ძნელად სოფლის ბანკებმა ამ რთულ საქმეების გაძღოლა შეიძლოსო. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა გუბერნატორებს მოიწვიეთ გუბერნიის ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, განსაჯეთ ნორმალური წესდება სასოფლო ბანკისა და გამოარკვიეთ, რა პირობებით შესაძლებელია ამ ბანკისათვის ხანგრძლივ ვადიან სესხის გაცემა და გირავნობის აღება სესხის გასაცემადაო.

— სამხედრო წოდებაში ამა 1900 წლის 1 იანვრიდგან ახალი წესია დადგენილი სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ხარისხის მიცემისა. ახალის წესით ყოველს აფიცერს თორმეტის წლის სამსახურის შემდეგ უეჭველად კაპიტანის ხარისხი უნდა მიეცეს. ვისაც ამ ჟამად უკვე დამსახურებული აქვთ თორმეტი წელიწადი, იმათ უპირატესობა მიეცემათ კაპიტანის ხარისხის ბოძების დროს.

— უმართებულესმა სენატმა ამას წინად განმარტა, რომ ანდერძის წერილი ბერად აღკვეცილისა ძალაში იმ დღიდგან შედის, რა დღესაც ანდერძის დამტოვებელი ბერად შესულაო.

# უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ერთის ინგლისურ გაზეთის ანგარიშით, სამხრეთ აფრიკის ჯარის მთავარ-სარდლის—ლორდ რობერტსის განკარგულებაში აა რამდენი ჯარის კაცი უნდა იქმნეს: 100 ათასი კაცი, რომელნიც უკვე იმყოფებიან სამხრეთ აფრიკაში, უკვე გამგზავრებული იქ მისაშველად — 30 ათასი კაცი და 30 ათასი კაცის, რომელთა გაგზავნა გარდაწყვეტილი აქვს მთავრობას.

როგორც დეპეშებიდგან ვიცით, გენერალი ბულლერი თავისის ჯარით უგზო გავიდა მდინარე ტუგელში და ლედისმიტის გასანთავისუფლებლად ნაბიჯი წასდგა. დღე-დღეზედ მოელიან დიდს ბრძოლას, რომელმაც საქმის მდგომარეობა ასე თუ ისე უნდა შესცვალოს. ამ მოლოდინში ინგლისის საზოგადოება დიდად დრტვინავს და მოუთმენლად მოელის იმ წუთს, როცა ბედი გაუღიმებს ინგლისის მხედრობას. დიდად საინტერესო არის ამ მხრივ „ტაიმსი“-ს აზრი. აი რას ამბობს ეს გაზეთი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბუღდერმა კიდევაც რომ ვერ მოახერხოს შემოუაროს ანუ გაარღვიოს ბურების ჯარი, ქვეყნის გარდაწყვეტილება ომის გაგრძელების შესახებ სრულებითაც არ შესუსტდება. იმ შემთხვევაში, შეიძლება, ჩვენ მოგვიხდეს დავმორჩილდეთ ბედს და ლედი-სმიტის ჯარი ღვთის ანაბარად მივატოვოთ, ის ჯარი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ასე ერთგულად იცავდა ინგლისის დროშის პატივსა და სახელს. ჩვენს ერს ამაზედ უფრო დიდი უბედურება უნახავს და გამოუვლია, და ამიტომ იმან იცის, რომ თავისის სიდინჯით, კეთილგონიერებით და შეურყეველი გულსმოდგინეობით ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოსულა.

— გაზ. „Daily Mail“-ს აუწყებენ ლორენცო-მარკეზიდგან, რომ კრიუგერმა პროკლამაცია გამოსცა, რომლითაც ტრანსვაალის ყველა მოქალაქეს საომრად იწვევსო. გარდა ამისა მასვე ცირკულიარი გამოუცია 27 დეკემბერს, რომლითაც მოაგონებს-რა თავისს თანამემამულეებს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება რესპუბლიკა, ურჩევს მხედართ-მთავრებს და მოქალაქეთ, მომეტებულის გულმოდგინეობით დაიცვათ ტრანსვაალის ინტერესებიო.

— ლორენცო-მარკეზიდგან ატყობინებენ გაზეთებს, რომ პორტუგალიის პოლიციამ არ გაუშვა რამდენიმე პორტუგალელი, რომელთაც ბურების ლაშქარში ჩაწერა სურდათო. ამის შემდეგაც არავის არ გაუშვებენ თურმე პორტუგალიის სამფლობელოს საზღვრებიდგან, იქაურ გუბერნატორის ნება-დაურთველად.

— დამოუკიდებელ მუშათა დასის საერთონო საბჭოს დიდი მიტინგი გაუმართავს ედინბურგში (ინგლისში). ხანგრძლივ ბაასის შემდეგ, კრებას განაჩენი დაუდგენია, რომელშიაც სურვილი არის გამოთქმული, რომ ინგლისისა და ტრანსვაალის მთავრობამ დაუყონებლივ გამოაცხადონ ის პირობები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას სამშვიდობო ხელშეკრულობას.

**საფრანგეთი.** გაზეთების სიტყვით, მინისტრთა საბჭოს გარდაუწყვეტია, რომ ფლოტის გასაძლიერებლად მოსთხოვოს პალატას ერთი მილიარდი ფრანკი, და არა 200 მილიონი, როგორც წინად ჰფიქრობდნენ, და არც 500 მილიონი, როგორც შემდეგ დაადგინეს. თუმცა ეს თანხა რამდენიმე წელიწადზედ უნდა განაწილონ, მაგრამ, როგორც ამბობენ, მისი დაფარვა გარდასახადის შემოსავლით შეუძლებელი ყოფილა, და ამიტომ მთავრობა იძულებული იქნება ფული ისესხოს. როგორც ჰფიქრობენ, ფლოტის გაძლიერების შესახებ პროექტს ამ დღეებში წარუდგენს მთავრობა პალატას, როცა ეს უკანასკნელი შეუდგება ზღვათა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

## დამაკვირდი

რამდენადაც ნაკლებ გვიყვარს დედაკაცი, იმდენად უფრო ადვილად მოგწონვართ.

ა. პუშკინი

***

კალენდარია დედაკაცთა სასტიკი მტერი. იგი ყოველ წლივ ეუბნება ქალებს და ასხენებს, რომ ერთის წლით უფროსნი შეიქმნენო.

საფირი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად ნიუ-იორკში არა-ჩვეულებრივი ქორწინება მომხდარა. ორს ახალგაზდას, ქალს ლიცი გუმონს და აფიცერს სამან უეილერს, ჯვარი ტელეგრაფით დაუწერიათ. ნეფე-დედოფალი ერთი ერთმანეთისაგან 1,700 მილის მანძილით ყოფილან დაშორებულნი. შარშან გუმონსი და უეილერი უინჩესტერში სცხოვრობდნენ, იქ გაუცვნიათ ერთმანეთი და სიყვარული გამოუცხადებიათ. იმავე წელს უეილერი სამხედრო სამსახურში შესულა. მთავრობას იგი ახალ მექსიკაში გაუგზავნია და ამ რიგად ჯვარის დაწერა ვერ მოუსწრიათ. საცოლეს ახალ მექსიკაში მოუსურვებია წასვლა, მაგრამ მამა არ დათანხმებულა. მამას უფიქრია, იქნება საქმრომ ჯვარი აღარ დაიწეროს და ჩემმა ქალმა რა უნდა ჰქმნას მარტოდ-მარტომ უცხო ქვეყანაშიო. დანიშნულთ ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონიათ და ამ მიწერ-მოწერის დროს გადაუწყვეტიათ ტელეგრაფის შემწეობით დაიწეროთ ჯვარიო. დანიშნულ დღეს ჩვეულებისამებრ შეჰკითხებიან როგორც საცოლეს, აგრეთვე საქმროს, თანახმანი ხართ თუ არა შეუღლებისაო, უკითხნიათ აგრეთვე სხვა რამეებიც, რაც ჯვარის წერის დროს საჭიროა, და საქმე გაუთავებიათ. მეორე დღეს ახლად ჯვარ-დაწერილი ქალი ახალ მექსიკაში წასულა თავისს ქმართან. დეპეშების გაგზავნ-გამოგზავნისათვის სულ 40 მანეთი გადაუხდიათ.

## გამოსადეგი ცნობა

რადგანაც თვალის ანთება ხშირად ემართებათ ახლად დაბადებულ ბავშვებს, ამიტომ ერთი მკურნალი დედებს ასეთს საშუალებას ურჩევს: 2% კარბოლის სიმჟავე ჩაასხით ერთს ჩაის ჭიქა წყალში და ამითი გამოჰბანეთ თვალები ბავშვს დაბადების პირველს ორს დღეს დღეში სამჯერაო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 იანვარი.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება სამხედრო წოდების მოსამსახურეთათვის ახალის რაოდენობის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ.

**ლონდონი.** გაზეთ „Times“-ს დეპეშით აცნობებენ ლორენცო-მარკეზიდგან 10 იანვარს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებიდგან აქ ძალიან მცირე ცნობები მოდის, მხოლოდ ამბობენ-კი, რომ პრეტორიაში ხალხი დიდად შეშინებულიაო. ეჭვი არ არის, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთა მიერ ასეთმა აშკარა მონაწილეობის მიუღებლობამ იმათს საქმეში ბურებს იმედი გაუმტყუნა: „Daily Mail“-ს დურბანიდგან ცნობა მოსვლია 10 იანვარს, რომ დროებით ჯარის უფროსს აფიცრებს ჩხუბი მოუვიდათ მუდმივ ჯარის აფიცრებთან, დაანებეს თავისს ადგილს თავი და კაპშტადტში მიდიან, რომ თავისი საჩივარი აუწყონ ობერ-კომისარს მილნერსაო.

„Daily Telegraph“-ს აუწყებენ, რენსბურგიდგან 10 იანვარს შემდეგი ცნობაა მოსული: „არ იციან რა მიზეზით ბურებმა შაბათს, საღამოს 9 საათზედ, თოფის სროლა ასტეხეს მთავარ სიმაგრის თავიდგან ბოლომდე; სროლამ 45 წუთს გასტანა და აშკარად სჩანდა, რომ სამი წყობა ისროდა.

როგორც აუწყებენ „Daily News“-ს, სამინისტრომ დაადგინა გაჰგზავნოს სამხრეთ აფრიკაში მე-17 ულანთა რაზმი, მე-17 დრაგუნთა გვარდიის რაზმი და მე-4 ცხენოსანი ბრიგადა, რომელიც უკვე მომზადებულია.

გაზეთ „Daily Chronicle“-ს აუწყებენ სპირმანსკაპიდგან, რომ 10 იანვარს უორრენის არტილერიამ კვლავ დაიწყო დილით ზარბაზნების სროლა, ხოლო ჩქარავე შესწყვიტა, რადგან მტერი არ გამოეხმაურაო.

**ნიუ-იორკი.** გაზეთი „Washington Times“-ი ამბობს, რომ ჩვენც მოხარულნი ვართ გერმანიის დიპლომატიურად გამარჯვებისა გამო. „მთელი განათლებული ქვეყნიერებაო, განაგრძობს გაზეთი: ვალდებულია, მადლობა გარდაუხადოს ბიულოვს იმ სინათლისა და სიმტკიცისათვის, რომლითაც მან განმარტა საქმე გემების დაჭერისა. შეხედულება, რომელსაც ას წელიწადზედ მეტი ამერიკა ედგა, სახელდობრ ის, რომ კერძო საკუთრება გინდაც იგი მოწინააღმდეგეს ეკუთვნოდეს, არ შეიძლება ზღვაში დაჭერილ იქმნასო, მალე იქმნა ყველას მიერ მიღებული, როგორც შედეგი მოლაპარაკებისა შეერთებულ შტატებსა და გერმანიის შორის ერთის მხრით და ინგლისთან მეორეს მხრით“.

**დურბანი.** გემი „Bundesrath“-ი ხვალ აღმოსავლეთისკენ წავა.

სახადისა და სხვა ავადმყოფობისაგან ლედი-სმიტში ყოველ დღე 10 კაცამდე ესალმება წუთი სოფელს.

**პეტერბურგი.** აქ ხმა გავრცელდა, რომ დენდონალდი 1600 კაცით ლედი-სმიტში შევიდაო. ეს ხმა არა მართლდება.

**მოდერ რივერი.** ინგლისელები გუშინ საღამოთი და დღეს დილით ყუმბარებს ესროდნენ ბურების სიმაგრეს.

12 იანვარი

**ლონდონი.** ზემო ტუგელის ბურების ბანაკიდგან იუწყებიან, რომ ბურების სიმაგრეზედ სროლა ინგლისელთ განაახლეს 6 იანვარს. მეტადრე დიდი სროლა ასტყდა ნაშუადღევს; სროლით ინგლისის ჯარმა სამ წყობად მიაღწია მეორე რიგ პატარა გორაკებამდე და დაიჭირა კიდეც დღამდებისას, მაგრამ შემდეგ იძულებულ შეიქმნა ისევ პირველს ბინაზედ დაბრუნებულიყო. მთელის ღამის განმავლობაში ინგლისელები შუშხუნებსა და ჰაეროსტატებს უშვებდნენ, რომ მტრის ბინები დაეთვალიერებინათ მდინარეს ზემოდ. 7-ს, დილით, ყუმბარების სროლა დაუწყეს კვლავ გემებიდგან ზემო ტუგელის ბურების ბანაკს, მაგრამ ამაოდ.

7 იანვარს აუწყებენ „რეიტერის სააგენტოს“, რომ ინგლისელებს ეხლა ტუგელის ნაპირად სამი სიმაგრე უჭირავთ. მოვიდა თუ არა ამბავი, რომ ინგლისის ცხენოსანთა ჯარის 2000 კაცი სცდილობს მოუხვიოს ბურებს დრაუნის გორებიდგანაო, ბურებმა საზვერავად ძლიერი ჯარი გიჰგზავნეს. დარაჯი ბექობზედ გამოჩნდა, სადაც მის წინააღმდეგ საშინელი სროლი ასტყდა თოფებისა და მაქსიმის ზარბაზნებისა. ბურებს მოკლული ჰყავთ 14 კაცი და 20 დაჭრილია. ინგლისელთა ზარალი, ალბად, მცირე იქნება.

**ლორენცო მარკეზი.** შაბათს ბურების მთავარ სადგურიდგან აუწყებენ „რეიტერის სააგენტოს“, რომ ჟუბერის დაბადების დღის პატივსაცემლად, რომელსაც 10 იანვარს 60 წელიწადი შესრულდა, ჯარის უფროსმა ბოტამ ჯარით მტრის მდგომარეობისა და რაოდენობის გამოკვლევა დაიწყო და, მცირე ბრძოლის შემდეგ, გვერდი აუქცია მტრის მოწინავე ჯარს. ჟუბერი შტეინს მიჰყვა, როდესაც შტეინმა ორანჟის ბურების ბანაკი დაათვალიერა ლედი-სმიტის სამხრეთით. შტეინი სრულიად დარწმუნებულია რა გამარჯვებას, თავისს მემამულეთა ბანაკს დაათვალიერებს.

**ბრიუსელი.** წარმომადგენელთა პალატა. მემარჯვენეთა წევრი ფესტე შეეკითხა მთავრობას იმის შესახებ, თუ რა მინდობილობით არის წასული ბერლინს ბერნაერი, რადგან, როგორც გაზეთები ამბობენ, ამ მინდობილებასთან ტრანსვაალის ომში შუამავლობის განზრახვა არის დაკავშირებულიო. ბელგიაო, სთქვა ვესტემ, ნეიტრალი სახელმწიფოა და ტრანსვაალის აურ ზაურში ისევე ცოტა უფლება აქვს ჩარევისა, როგორც ბელგიის სახელმწიფო კაცთ ცოტა უფლება აქვთ ჩაერივნენ ტრანსვაალში ვითარცა პოლიტიკოსნიო“. ინგლისი ყოველთვის საუკეთესოდ უზრუნველ ჰყოფდა ბელგიის ნეიტრალიტეტს და ჩემი სურვილი ის არის, რომ ყოველსავე მითქმა-მოთქმას ბერნაერის მინდობილებათა შესახებ ბოლო მოეღოსო. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ ბერნაერტს ბელგიის მთავრობისაგან არა აქვს-რა მინდობილი ამ საქმის შესახებ, იგი წავიდა კონგოს სახელმწიფოს შესახებ მოსალაპარაკებლადაო. რაც შეეხება გამოქვეყნებულ იმასთან ნალაპარაკევს, ბერნაერტს კარგად ვიცნობ და ამიტომ არა მჯერა, რომ მან ასეთის ბაასის დროს ვნება მიაყენოს ბელგიის ინტერესებსაო (მოწონების ხმა გაისმის).

**ლონდონი.** კიმბერლეიდგან 9 იანვარს ცნობაა მიღებული მელიოგრაფით, რომ ბურები განაგრძობენ და დაუღალავად უშენენ ყუმბარებს თავისის მძიმე ზარბაზნებიდგან ქალაქს, განსაკუთრებით სიმაგრეებსაო.

სამხედრო სამინისტროს ცნობებიდგან იმ საზღვარ-გარეთ გავრცელებულის ხმის შესახებ, რომ ვითომ ბულლერი დამარცხებულ იქმნა და დენდონალდი 1,600 კაცით შევიდა ლედი სმიტშიო, სჩანს, რომ სამინისტროს არც ერთი მიაჩნია სარწმუნოდ და არც მეორე. აქ იმ აზრისანი არიან, რომ საბიროფო განზრახვით არის ეს ხმები გავრცელებულიო, გარდაწყვეტილს ცნობებს ბულლერისა ანუ ლედი-სმიტიდგან სამინისტრო ორ-სამ დღეზედ ადრე არ მოელის ჯერ იმიტომაც, რომ ბულლერის მოქმედებას, საჭიროებისაებრ, ვრცელი ხასიათი აქვსო.

ზემო ტუგელის ბულდ ბურების ბანაკიდგან დეპეშებით აცნობებენ „რეიტერის სააგენტოს“, რომ მთავარი ბინა ინგლისის ჯარისა შვარცკოპრიფტთან იმყოფება, სადაც მათ მდინარე დელეს ორივე ნაპირი უჭირავთო, მდინარის სათავისაკენ, სახელდობრ ცუნილესთან, მათ მდინარეზედ ხიდი გასდეს და სურსათის დიდი საწყობი გამართესო. შვარცკოპრიფტის მაღლობზედ ინგლისელებმა ხუთი ზღვის ზარბაზანი დასდგეს და ერთი მინდვრის არტილერია გადაიტანეს მდინარეზედ და პაწია მექობზედ დაადგინეს, საიდგანაც დაუწყნარებლად ესვრიან ყუმბარებს ბურების სიმაგრეებს. ამ სროლით ბურებს უფრო მეტი ზარალი მოსდით, ვიდრე კოლენზოსთან მოუვიდათო.

**ლორენცო მარკეზი.** ბურების ბანაკიდგან იუწყებიან 10 იანვარს, რომ ზარბაზნის „გრძელის ტომის“ ყუმბარებით დაქცეულ იქმნა უაიტისა და გუტერის სადგურები, ხოლო არ იციან, მოკლულ იქმნა ვინმე თუ არა. „ურანდას“ გემით მოვიდა აქ რუსეთის მინდვრის საავადმყოფო, 33 სულისაგან შემდგარი.

ლედი-სმიტთან მყოფ ბურების მთავარ ბინიდგან იუწყებიან 10 იანვარს, რომ შაბათიდგან მძვინვარე ბრძოლამ ოლივიენშტოკის გზაზედ პრეტორიუსის ბურებსა და ინგლისის 6,000 კაცთან ჯარ შორისაო ბრძოლა სპიონსკოპის გარშემო ხდება. იქ არიან გაგზავნილნი ბურების ჯარები—ბოტისა და კრონიესი. დანარჩენს დროს ინგლისელები ბურების ჯარის ზვერვასა და თვალიერებას ანდომებდნენ. პრეზიდენტი შტეინი იქ იმყოფება, სადაც თოფის სროლაა. ორანჟეს ბურებმა დიდის მანძილით წაძოსწიეს თავისი ბინები.

**პრეტორია.** როგორც კოლსბერგიდგან იუწყებიან ამ ადგილას ბურების ჯარის მთავარ სარდლად დევეტია დანიშნული. ბურებს კოლსბერგთან კვირა დილით მტერი დაესხა თავს. ასტყდა ძლიერი ბრძოლა რომელიც არ იციან ოითი დამთავრდა. უკანასკნელ მოწყრილობიდგან სჩანს, რომ ბურებს თავისი სიმაგრეები შეურჩენიათ.

**ლორენცო მარკეზი.** კოლენზოდგან პრეტორიაში დეპეშაა მიღებული 5 იანვარს რიცხვით, რომ ბურების მზვერავ რაზმს, რომელიც 200 კაცისაგან შესდგებოდა და რომელსაც ოპპერმანი უფროსობდა, ინგლისელებმა შემოერტყნენ გარს, მაგრამ რაზმმა ალყა გაარღვია და წავიდა, დასტოვა მხოლოდ 4 მოკლული და 30 დაჭრილი, რომელნიც ინგლისელების მიერ ტყვედ იქმნენ წაყვანილნიო.

**ლონდონი.** დილის გაზეთები იუწყებიან, რომ ჩემბერლენს განზრახვა აქვს საგანგებო ელჩად გაჰგზავნოს ტონგუში ტონპრონი, რათა ადგილობრივ იქმნას განმარტებული ინგლის გერმანიის შეთანხმების მნიშვნელობაო.


# განცხადებანი

**დაიბეჭდა ცალკე წიგნად და იყიდება** ქართულ წიგნის მაღაზიებში ესპანიური მოთხრობა

„ლაზარილიო ტორმესელი“

თარგმნილი პეტრე უმიკაშვილის მიერ. წიგნი ორ შაურადა ჰღირს.

(3—უ.—1)